სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

შპს განათლება, კერძო სკოლა

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

პრეამბულა

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი 23 ივლისი, 2018 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთი მხრივ, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, წარმოდგენელი რექტორის, პროფესორის ერმილე მესხიას სახით და, მეორე მხრივ შპს განათლება კერძო სკოლა, მისი დირექტორის ქეთევან გოშხეთელიანის სახით (შემდგომში „სკოლა"), ხელს ვაწერთ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე.

უნივერსიტეტისა და სკოლის ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი, სამეცნიერო კვლევისა და აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- სასწავლო-შემოქმედებითი ბაზების ერთიანი ქსელის შექმნას;
- საშემსრულებლო და თეორიული მიმართულების სპეციალისტთა მიერ კონსულტაციების, მასტერკლასებისა და სხვა სასწავლო შემოქმედებითი მუშაობის ჩატარებას.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას კვლევისა და განათლებისათვის აუცილებელი რესურსების მოზიდვისა და სასწავლო-შემოქმედებითი სამუშაოების დაგეგმისათვის ორმხრივი ინტერესების შესაბამისად;

1.2. თითოეული მხარის მნიშვნელოვან მატერიალურ-ტექნიკურ რესურებს პროფესორები, მასწავლებლები და სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო შემოქმედებითი პროექტებში ჩართული სტუდენტები და მოსწავლეები გამოიყენებენ ურთიერთშეთანხმებით;

1.3. მხარეები გაუწევენ ერთმანეთს კონსულტაციებს და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო შემოქმედებით პროექტებს,მათ შორის საზაფხულო და საზამთრო ლიტერატურულ შემოქმედებით ბანაკებს;

1.4. მხარეები მონაწილეობას მიიღებენ ერთობლივი პროექტების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და სხვა);

1.5. განახორციელებენ ერთობლივ სამეცნიერო სემინარებს, კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, ფესტივალებს, გამოფენებს, საკონცერტო წარმოდგენებსა და სხვა პროექტებს.

1.6. სკოლა საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში ხელს შეუწყობს სტუდენტების პრაქტიკის გავლასა და კურსდამთავრებულთა სტაჟირებას.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირედება ორმხრივი შეთანხმებით;

2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკების გზით;

3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე;

3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირები გადაეცემა მხარეებს.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების
სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

---------- ე. მესხია

საქართველო, ბათუმი,
ლუკა ასათიანის ქ. № 37
ტელ. +995(422) 27-86-67; +995(422) 27-98-95;
ელ. ფოსტა info@batu.edu.ge
ვებ.გვ. batu.edu.ge

შპს განათლება ბათუმის კერძო
სკოლის დირექტორი

---------- ქ.ბოშხეთელიანი

საქართველო, აჭარა, ბათუმი, გ.ბრწყინვალეს ქ. N103
e-mail: ganatleba1@yahoo.com,

e-mail: ganatlebab@gmail.com
მობ: (+995 593) 90 16 00 , ტელ: (0422) 27 20 71